ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 211
ოქტომბრის 5, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 211
ოქტომბრის 5, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისის მოურავის
თანამდებობის აღმასრულებელი

ამით აცხადებს ბბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ 6 ოკდომბერს 1902 წელს, კვირას, დილის 10 საითზედ დანიშნულია

დამატებითი არჩევნები

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ოთხის წლის ვადით (1902—1906 წწ.) **პირველ საარჩევნო უბნისათვის** კიდევ სამის ხმოსნის და არა ნაკლებ ხუთის კანდიდატის ამოსარჩევად.

დამატებითი არჩევნები მოხდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიამინოვის ქუჩიდგან. ამომრჩეველთ კეთილ-ინებონ და იქონიონ თან შესასვლელი ბილეთები, რომელიც მიცემული ჰქონდათ ამ წლის სეკდემბრის საარჩევანო კრებაზედ შესასვლელად. იმათ-კი, რომელთაც ასეთი შესასვლელი ბილეთები არ აუღიათ, ნება აქვთ მიიღონ გამგეობის კანცელარიაში 6 ოკდომბრამდე და თვით 6 ოკდომბერსაც. არჩევნების დღეს დაედგმით ყუთი ყველა იმათ, ვინც გამოაცხადეს თვისი თანხმობა კენჭის ყრაზედ პირველ საარჩევნო უბანში. იმათ-კი, ვისაც კენჭი არ უყრია, კეთილ-ინებონ და წერილით აუწყონ ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, უკეთუ სურთ კენჭი იყარონ ხმოსნობაზედ.

(3—6.—2)

მთავრობის ნებართვით

სამს ღვინობისთვიდგან გაიხსნა **ახალი**—მეთოთხმეტე—**აფთიაქი** პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის **გაზიეროვისა**. რიყის ქუჩა, სახლი № 26.

(6—431—2)

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩააბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—33)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში. **ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. პიპინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. კ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.

(წლ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, შაბათს, 5-ს ოკდომბერს,
ხარკოვის რუსულ ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

☛ კარმენი ☚

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ბიზესი.

დონხოზეს როლს შეასრულებს **ა. პ. ბონაჩიჩი.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარნიოლისა, გაშინსკისა, პეტროვსკისა, ბაუერი; ბ-ნნი: **ბონაჩიჩი**, პოლუიანოვი, იზმაილოვი, პეტროვი, პევცოვი, სარიდონი და სხვ. ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.** ტანისამოსი და ექსექსუარი საკუთარის სახელოსნოსი.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.** ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი**, ადმინისტრატორი მ. **დურანდინი.**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, კვირას 6 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქმნება ოპერა **ლაკმე.**

სახელოვნობო მოკაზმულობის გამგე **ივ. ფითოევი.**

№ 3. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

პირველი **იაფ-ფასიანი** წარმოდგენა
კვირას, 3 ოკდომბერს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

შუადღის 12 საათზედ
ძლიერ **დაკლებულის** ფასებით

☛ ური ობოლი ☚

მელოდრამა 5 მოქ. და 6 სურ. დენიერისა თარგმ. ავ. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნათელი, რონელი, როსტომიანი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ლანდი, ქლენტი, მოურავიშვილი, იორდანიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 3 მანეთიდან 5 მან.-დე, პარტერი 40 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 50 კ.-დგან 1 მ.-დე, გალერეია 20 კ.-გან 35 კ.-მდე, შეგირდებისათვის ადგილები პარტერში 40 კაპ.

დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ბრჭყალები“, „მუშაკი და ნებიერი“, „უბედური ნაბიჯი“.

თეატრის გამგეობა სთხოვს მაყურებელთ წარმოდგენის დროს მსახიობთ ნუ გამოუძახებენ ხოლმე თავის დასაკვრელად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისი, 5 ოკდომბერს.

საზოგადოდ საქართველოდგან და, კერძოდ, იმერეთიდგან დიდ-ძალი ქართველობაა გასული სხვა-და-სხვა მხარეს, სავაჭრო და სამრეწველო მოღვაწეობისათვის. იმერნი ათასობით სცხოვრობენ ჩრდილოეთს კავკასიასა, ბაქო-ერევან-განჯა-ყარსის მხარეს, თურქესტანში და სხვაგან... აქ ზოგიერთი მათგანი შეძლებასაც საკმაოდ იძენს, ეკიდება ცოლ-შვილს და სამუდამოდაც რჩება სამშობლოს გარეშე.

ერთის მხრივ, ფრიად სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ქართველი კაცი სავაჭრო და სამრეწველო სარბიელზე მოღვაწეობისათვის თვისს სამშობლოს სტოვებს და სხვაგან მიდის, რადგან მით ფართოვდება მისი თვალთა-ხედვის ისარი,—ემატება გამბედაობა, ესხმება ფრთები, ილვიძებს და ფხიზლდება, ცხოვრებისათვის საარსებო ბრძოლაში. ამით ქართველთა კარ-ჩაკეტილობას ბოლო ელება, მის თვალ-წინ იშლება ფართო მოედანი საქმიანობისა, გარჯისა და მხნეობისა.

სხვა ქვეყნების გაცნობა, სამშობლოს გარეშე ყოფნა უფრო შეაყვარებს ქართველს თავის პატარა სამშობლოს, განავითარებს გონებრივად, გაუღვიძებს მოქალაქობრივს გრძნობას და უფრო თამამად, უფრო გაბედვით აშრომებს საუკეთესო მომავლისათვის.

მაგრამ მეორეს მხრივ ქართველთა მცირე ძალ-ღონის გაფანტვა, მიმობნევა მეტად დიდს და ფართო სარბიელზედ არც ისე სასურველია, როგორც ეს პირველ შეხედვით ეჩვენება კაცს. ასეთი გაფანტვა, ასეთი მიმობნევა ძალ-ღონისა, ცოტა არ იყოს შეასუსტებს პატარა ქვეყნის მცირე ძალ-ღონეს, რომელიც დიდად საჭიროა შინვე და რომელიც დიდის ზოგითა და ყამით უნდა იხარჯებოდეს შინაცა და გარედაც.

როცა ჩვენს ქვეყანაშივე, მის აღმოსავლეთის ნაწილში დიდი ეკონომიური მეტოქეობა, დიდი ჯიბრი და ცილობა ასუსტებს და ღონეს ართმევს ჩვენს ხალხს, ამ დროს მაინცა-დამაინც სახეირო არ არის, რომ მოჭარბებული ჩვენი ღონე აქეთ-იქით მიიბრძოდეს, სამშობლოს გარეშე ეძებდეს და ჰპოვებდეს თვისს სამოქმედო ასპარეზს.

მთელი სამხრეთი საქართველო (ბორჩალოს მაზრა, ახალციხისა და ახალქალაქის მხარე,—ეს აკვანი ძველის ჩვენის კულტურისა), ლამის დაცალიერდეს, ისე მცირეა იქ ქართველობა, და გაივსოს უცხო ელემენტით. ჩვენი მოჭარბებული ძალა, ბევრად უკეთესია, იქით მიიმართოს. რაჭასა და იმერეთ-სამეგრელოს მოჭარბებით ასხია ხალხი, მამულის სიმცირე და სივიწროვე დიდია იქ და ეს მოჭარბებული ნაწილი იქ უნდა მიეტანოს, იქ უნდა ირჩინოს მან თავი, სადაც მამული ბლომადაა, სადაც ქართველობა შევიწროებულია თვისის სიმცირის გამო.

ესევე ითქმის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებაც აღმოსავლეთ საქართველოში, ანუ ქართლ-კახეთში, სადაც ეს დარგი საქვეყნო გამრჯელობისა ძალიან ნაკლებად არის ქართველობის ხელში. შექმნილა გამდიდრების წყაროდ უცხო ელემენტისა და დასაბამად მკვიდრთა ეკონომიურის დაძაბუნებისა. დასავლეთ საქართველოში-კი ვაჭრობაცა და მრეწველობაც უფრო იმერთა ხელშივეა და, თუ მოჭარბებული ძალა აქვთ ამ მხრივ იმერთა, ბევრად უმჯობესია ეს ძალა მიიმართოს იქ, სადაც იგი მათს მოძმეებს აკლიათ, ან ძალიან მცირედა აქვთ. შინ რომ ბალღი სტიროდეს, გარედ ტაბლას რა უნდაო. ქართლ-კახეთში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც ვრცელს ასპარეზს იპოვის იმერი ვაჭარი თავის ნიჭისა და შნოს გამოსაჩენად. ასეთი ადგილებია: სურამი, გორი, ცხინვალი ახალგორი, დუშეთი, თელავი, სიღნაღი, სოფელი ახალქალაქი, მცხეთა, ტფილისი, შულავერი, ახალციხე და სხ. აი აქ, ამ ადგილებში არიან საჭირონი ჩვენისავე სისხლისა და ხორცის ვაჭარნი, რომ შეიძლონ თვისის მხნეობით და მუყაითობით მოცილეობა გაუწიონ უცხო ტომის ვაჭრებს. ამ ადგილებში, როგორც ვიცით, მთელი ვაჭრობა თითქმის სხვის ხელშია გადასული. სხვა ტომის ვაჭრები, უფრო-კი სომხები, მტკიცედ არიან იქ მოკალათებულნი და ეკონომიურად დაცემული ქართველობა ვერ უწევს მათ ვერავითარს მეტოქეობას, მათი მონაა ნივთიერად, უიმათოდ ფეხს ვერ გადასდგამს ცხოვრების ილაჯი გაწყვეტილი აქვს.

მაგალითად ავიღოთ გორის მაზრის სოფელი ახალქალაქი, ეს საუკეთესო საზაფხულო საგარაკო ადგილი, რომელიც დღეს თითქმის მთლად სომხების ხელშია. მათ წამოჭიმული აქვთ აქ მშვენიერი სახლები, აქვთ ორი უმშვენიერესი ტაძარი, სკოლა, ბაღები, ვენახები, სახნავ-სათესი მიწები, სავაჭრო დუქნები, ერთის სიტყვით, ხელში უპყრიათ მთელი ამ არე-მარეს ბედი, ქართველებს-კი ვერ მოუხერხებიათ ოცის წლის წინად დაწყებული საყდრის დამთავრება და საყდარი დაუხურავი, შეულესავი, შიგნით და გარეთ დაღარიბებული, მიჩქმალულია შენობათა შორის. კვირა-უქმე დღეს ტაძარში არავინ დადის, გაისმის შიგ ხმა მხოლოდ მღვდლისა და მედავითნისა. ქართველ-

თა ცხოვრება იქ ჩამქრალია და მოსალოდნელია, სულაც აღარ დარჩეს იქ არც ერთი ქართველი, თუ იქაური ქართველობა ასევე დაუდევრად იცხოვრებს და არ გამოიღვიძებს.

აი, სწორედ ასეთს ადგილს და ამის მზგავს მრავალს ადგილს ცის მანანად იქნება ჩასათვლელი იმერთა მიერ ვაჭრობის და მეურნეობა-მრეწველობის ჯერ დაწყება და მერე ხელში ჩაგდება. ჯერ ერთი, რომ აღმოსავლეთის ქართველობა, რომელიც ვაჭრობას ეგრე რიგად არ ეტანება, სიხარულით მიეგებება თავისის ძმების მოსვლას მის მიწა-წყალზე, გამოიღვიძებს, თვითონაც გამოფხიზლდება და იმას მაინც იტყვის **„ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“** ამას გარდა იმერლები შეძენილს ქონებას ადგილობრივს საქმეებს მოახმარებენ, აღზრდიან შვილებს რიგიანად, გამართვენ სკოლებს, წიგნთ-საცავ-სამკითხველოებს, მიიღებენ მონაწილეობას საზოგადო საქმეებში, გააუმჯობესებენ გზებსა და სხვ...

უკეთუ იმერნი აღმოსავლეთ საქართველოში ფეხს მოიკიდებენ, ერთი ნაწილი მაინც ქვეყნის სიმდიდრისა ქართველთა ხელშივე დატრიალდება და ქართველების სასარგებლოდ იქმნება მოხმარებული...

„ცდა ბედის მონახევრეა“-ო ნათქვამია. ზოგან იმერთ კიდეც სცადეს აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრება და რიგიანად მოახერხეს ეს საქმე...

საეკონომიო სარბიელზედ უნარი მეტოქეობისა აქვთ უფრო იმერთა და კიდეც ამიტომ ვაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ გარემოებაზედ.

ტფილისი

◆ დღეს, 5 ოკდომბერს ტფილისის მეურნეობა-მებაღეობის სკოლაში დანიშნულია მოსწავლეთათვის დასამთავრებელი ეგზემენები.

◆ ლოზანში (შვეიცარიას) პროფესორ გუსტავ ბროშეს შეუსწავლია ქართული ენა და გვთხოვს, ვუგზავნოთ ჩვენი გაზეთი. აქვე მოგვყავს ამ პროფესორის ადრესი: „Suisse La Clochatte sur Lausanne, M-r Gustave Brocher, proffesseur“ და იმედი გვაქვს, სხვა რედაქციებიც მიაწვდიან თავიანთ გამოცემას.

◆ ტფილისის ხელოსნებს განუზრახავთ ზოლას სულის მოსახსენებლად გარდიხადონ პანაშვიდი.

◆ ტფილისის ხელოსანთა მოურავს, დაუწყია საჩივარი ხელოსანთა მოურავად ნამყოფ სერობიანცზედ, რომ მან მისცეს სამის თვის ჯამაგირი ხელოსანთა მმართველობაში მოსამსახურეთ, რომელიც მას არ მიუცია თავის მოურავობის დროს.

◆ ნავთლუღში ქალაქის ნავთის ქვების იჯარით გაცემა, რაიცა დანიშნული იყო 2 ოკდომბერს, არ მოხდა, რადგანაც მსურველი არავინ გამოცხადდა ვაჭრობაზედ.

◆ გუშინ-წინ დანიშნული ქალაქის საბჭოს წევრთა კრება არ შესდგა, რადგან კრებას არ დაესწრო კანონიერი რიცხვი წევრთა. კრებაზედ გამოცხადდა 22—24 კაცი.

◆ ქართული დრამატიული საზოგადოების მმართველობა კვირას, 13 ოქდომბერს ქალაქ ბათუმში გაჰმართავს განსვენებულის დრამატურგის ა. ცაგარლის სახელის საპატიოდ საღამოს. წარმოდგენილი იქნება ცაგარლისავე ახალი პიესა „ცისარტყელა“ აპოთეოზით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო არტისტები ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება დანიშნულია ორშაბათს, 7 ამ თვეს.

◆ ქალაქის ქუჩების მოკირწვლის განსაკუთრებულ კომისიას სხვა მცირე კომისია კიდევ ჰყავს ამორჩეული; ამ ჟამად ეს მცირე კომისია მუშაობს განაპირა ქუჩების რაოდენობის და სივრცის გამოსაკვლევად; კომისია დაამთავრებს ამ ორის-სამის დღის შემდეგ ავლაბრის განაპირა ქუჩების გამოკვლევას.

◆ რადგანაც ერთაწმინდის სამრევლო სკოლას (გორის მაზრაში) შესაფერი შენობა არ აქვს, ამიტომ სოფ. ერთაწმინდელებს განაჩენით დაუდგენიათ ააგონ თავიანთი ხარჯით შესაფერი შენობა ამ სკოლისათვის.

◆ ამ წინაზედ მოხსენებული გვქონდა, რომ სოფელ ერთაწმინდის საძოვარ მინდვრებიდგან დაიკარგა სოფელ დოესელების ხარკამეჩიო; დღევანდლამდე ამ საქონლის მომპარავის კვალი ვერ აღმოეჩინათ; გორის მაზრის პოლიციას აღმოუჩენია ქურდნი, რომელნაც ახტალაში თურმე იყვნენ სამუშაოდ წასულნი; ეს ვაჟბატონები ერთაწმინდელებივე ყოფილან.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის თაოსნობით ამ მოკლე ხანში შესდგა მეღვინეთა და მემამულეთა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს შემწეობა აღმოუჩინოს და უხელმძღვანელოს მემამულეებს. ამ საზოგადოების პროგრამაც უკვე შემუშავებულია და წარდგენილია პეტერბურგში უმაღლეს მთავრობის წინაშე განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ როგორც ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწის ცნობათაგან სჩანს, სეკდემბრის განმავლობაში ქალაქს დაუწყია სისხლის სამართლის წესით 32 საქმე; მომეტებული ნაწილი ამ საქმეებისა დაუწყიათ სახლისა და ეზოების უსუფთაოდ შენახვისათვის.

◆ ქალაქის გამგეობას არა ერთხელ შეუმჩნევია, რომ ზოგიერთი დუქნები არ იხდიან ქალაქის ხარჯს, რადგანაც არ არიან ჩარიცხულნი ტრაქტირთა შორის, თუმცა ამავე დროს მასვე შეუმჩნევია, რომ ამ დუქნებში ჰყიდიან იმავე სასმელებს და სანოვაგეს, როგორც ტრაქტირებში. ამიტომ მოახდინა განკარგულება, რომ ყველა ამ ნაირ დუქნების პატენტები დათვალიერდეს და აღინიშნოს, ვის რის გაყიდვის ნება აქვს თავის დუქანში; ამის აღსასრულებლად დაუნიშნავთ უფროსი ვაჭრობის მეთვალყურე, რომლისათვისაც მიუჩენიათ სამი თანაშემწე.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობის სადგომში მოჰხდა კრება ტფილისის მეყავახანეთა და საჩაიე ტრაქტირების პატრონთა, რომელთაც უნდა ამოერჩიათ ხარჯის გამწერი კომისსია; მეტრაქტირეებმა და მეყავახანეებმა უარი განაცხადეს კომისიის არჩევაზედ და მიანდეს გამგეობას, რომ მან გააწეროს თავის ვარაუდით გარდასახადი; გასაწერია ამ სავაჭრო დუქნებზედ სულ 1830 მანეთი.

◆ გუშინ-წინ ქალაქის გამგეობაში იყო შეერთებული კრება გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა აღმასრულებელის კომისიის წევრთა; კრებამ განიხილა ის ზოგიერთი უწესოება ქალაქის სახელოსნო სკოლაში, რომელიც შემჩნეული იყო კავკასიის სასწავლებელთა ოლქის მზრუნველისაგან; კრებამვე განიხილა ამ სასწავლებლის პედაგოგიურის საბჭოს გასამართლებელი პასუხი და მოისმინა ამავე სასწავლებლის ზოგიერთი მასწავლებლის სიტყვიერი განმარტება; კრებამ გადასწყვიტა, კავკასიის ოლქის მზრუნველისთვის პასუხი დამზადდეს ამ საბუთების ძალით; ამისათვის კრებამ ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო პასუხის შედგენა; კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: ი. ს. ალიხანოვი, ე. მ. ავთანდილოვი და ი. ნ. ვესელოვზოროვი.

◆ ტფილისის გუბერნატორს საგუბერნიო კომიტეტში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევია შინა-მრეწველობის კომიტეტის საქმის მწარმოებელი ბ-ნი ფირალოვი, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს კომიტეტს ამ მრეწველობის შესახებ საჭირო საკითხების გარჩევის დროს.

◆ ქუთაისიდგან სწერენ გაზ. „ცნ. ფ.“-ს: დავით მდივანი არ დაამტკიცეს საქალაქო გამგეობის წევრადაო.

◆ ფოთიდგან სწერენ იმავე გაზეთს: 1 ოკდომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი, რიცხვით ხუთი კაცი, კანტორაში მუშაობის დროს, თავს დაესხნენ „ნადეჟდას“ ამხანაგობის აგენტს კ. ბაჟ-ბეუქმელიქოვს. ავაზაკებმა შიშის ზარი დასცეს კანტორაში მყოფთ, მძიმედ თავში დასჭრეს ხსენებული აგენტი, შემდეგ კასიდან 2000 მანეთზე მეტი გამოიღეს და ისე გაუდგნენ გზას, რომ მათი კვალი ვერავინ გაიგო.

2 ოკდომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე, გემით გამოიარა მიწათ მოქმედების მინისტრმა ერმოლოვმა. მინისტრს გემზე მიეგებნენ ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე და პოლიცმეისტერი. სანამ გემი დაიძროდა, მინისტრმა ბევრი რამ ილაპარაკა ქალაქის მოურავ ნ. ნიკოლაძესთან.

◆ ქალაქის საბჭოს ექიმს ბ-ნს გედილინს ამ მოკლე ხანში დაუთვალიერებია ტფილისში შემდეგი ფქვილის საწყობები; იმამოვისა, ფრუმხოვისა, მურადოვისა, ჩოლაკისა, ალიხანოვისა, ბაიანდუროვისა, ასკარ-ოღლისა, აზმედ-მუსტაფაოღლისა, თუშიშვილისა, ასლანოვისა, განდანაზოვისა, ნარი მანოვისა და მაშადი-უსეინოვისა; ერთის თვის განმავლობაში ეს ფქვილის საწყობი დაუთვალიერებია თითო სამჯერ-ოთხჯერ.

◆ დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ქალაქის მიწების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება. კრება განიხილავს ნაძალადევში მცხოვრებთა მიერ ადგილების იჯარით აღების შესახებ მირთმეულ თხოვნას და ნაძალადევშივე ზოგიერთს ქუჩის მოსწორების საქმეს.

◆ ტფილისის სასაკლაოს გამგეთ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს, შეგვატყობინეთ, რომელ წყაროებიდან მივსცეთ იმ მომუშავეთ ჯამაგირები, რომლებიც საქონელს სინჯვენ ავადმყოფი ხომ არ არისო და რა ფულით უნდა შევიძინოთ საქონლის გასასინჯათ თერმომეტრიო.

◆ ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარში უეცრად გარდაიცვალა 67 წლის მოხუცებული დიმიტრი დუდნიკოვი.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ, როდესაც იმერეთის ეპარქიაში მოგზაურობდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმერთა ზნე-ჩვეულებას: დაესწრო მიცვალეიულების დასაფლავებას, რომელსაც ჩვენში დიდ-გაზვიადებულად ვასრულებთ. არაფრად მოეწონა მკვდრის გამოუსადეგარი დაცოცხლების ნივთიერად დამღუპველი ჩვეულება და კეთილ-მოწესე მღვდლებს მოელაპარაკა, როგორმე შეემსუბუქებინათ ესრედ-წოდებული ზარ-ტირილით დასაფლავება მიცვალებულისა; კიდეც გამოსცა ამ საგნის შესახებ ცირკულიარი და ვალდებულად ხდიდა ყველა მღვდელს, მიცვალებული მესამე დღეს უმოზარეებოდ დაესაფლავებინათ. ეს განკარგულება უმეტესობამ დიდის სიხარულით მიიღო. იმედია, ყველგან მალე გადავარდება დრო-მოჭმული და ხალხის დიდად მაზარალებელი ჩვეულება და მის მიერ გამოწვეული ოჯახის დამღუპველი ზარი-ტირილი.

იმერელი.

—

გორი, ერთხელ კიდევ გადავლოთ თვალი ქართლის შუა ქალაქ გორს, რომელიც ორკეცა და წელში მოხრილი ცხოვრების მძლავრ ტალღებს დაუძაბუნებ დაუჩანაკებია და მისი დაობებულ-დახავსებული კითხვები ერთხელ კიდევ აღვბეჭდოთ გაზეთის ფურცლებზე მკითხველთა საყურადღებოდ. ისევ უბიბლიოთეკობა, უაბანოვობა, ქუჩების მოუკირწყლავ-მოურწყაობა, ყასპებ-მეპურების [illegible], მედილიჟნების უწესოება, ქსენონის უკუღმართობა, უბებიაობა, უსუფთაობა და სხ.-და-სხვ. კარგი ხანია, რაც სწავლა-განათლების ლამპარმა შეაშუქა ქართლის მივარდნილ დაბა-სოფლებშიაც, ვხედავთ სოფლებში ბიბლიოთეკას გამართულს, ხალხის გამოფხიზლებას და ენერგიას. მკითხველებმა უკვე იციან, რომ გორში სამკითხველო ეს რამდენიმე წელიწადია, რაც არ არსებობს, მასზე არავითარი ხმა არა ისმის-რა და ყველას თითქმის ეს სანდომიანი საქმე მეტ ბარგად მიაჩნია, ისევ ქეიფი, კულა-ყანწების ტრიალ-ბზრიალი და ცუგრუმელა უსაქმურ დამეზთან არშიყობა თამაში და ქათინაურის (კომპლიმენტის) უშნოდ რახირუხი. ამის შესახებ ლაპარაკი მეტია და სხვა რომ არა იყოს-რა, წყლის ნაყვა გამოვა.

აბანო დიდი ხანია, რაც წიაღსა შინა აბრაამისა განისვენებს: შარშან განუტევა მან სული, მანამდის-კი ძალიან მაცხონობდა. ხან ქვაბში ცხელი წყალი გამოილეოდა, ხან სრულებითაც არ აცხელებდნენ. წელს-კი იგი გულ-ხელ დაკრეფილი დასამარებულია, მხოლოდ სახელი-კი ისევ აქვს, კარის მინაზე კოხტად აწერია: **„баня“**—აბანოვო:

ქუჩები ბევრგან მოუკირწყლავია, იქ ზამთარში ისეთი ფლატე ტალახები იცის, რომ თუ არ ხიდი, ეტლით გავლა ყოვლად შეუძლებელია, ზაფხულში-კი მოურწყაობის გამო ისეთი ქარი ამოვარდება, გრიგალი გეგონებათ და მტვრის ბული დგას.

აქაური ყასპები ხშირად ერთი კვირის აყროლებულ ხორც ასაღებენ და მეპურეები ცარიელ ცომს. სასურველია ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ჩვენი მედილიჟნეები იმდენ „პასაჟირებს“ იყვანენ, რომ ეტლში ტევა აღარ არის. საბრალო ცხენები ურმული სიარულით ძლივს მიათრევენ დატვირთულ მძიმე დილიჟანს და მედილიჟნის „აჩუ, აჩუ“ აჭირებს საქმესა. აგრეთვე ბატონი მედილიჟნეები ფასს ზოგისგან მეტ იღებენ, ზოგს ნაკლებსართმევენ და, თუ რამე დღეობაა, მაშინ ხომ „დვაინოს“ გაიძახიან და ერთი ორად ისქელებენ ჯიბეებს...

გორელები ათადან-ბაბადან დაწყებული ქსენონის დაარსებას მოუნდნენ, ბევრი თავის მტვრევის შემდეგ დააარსეს კიდეც და მერე სად, მოუსავლეთში, ბატონებო, მოუსავლეთში—სადაც ზამთარში ტალახის ზვინებია და ზაფხულში მტვრის ბული დგას, სადაც „ძმაბიჭები“ ოდელიათი და „კეკელჯანის“ სიმღერებით თავს იქცევენ. აბა ამისთანა ადგილას რას ივარგებს ქსენონი!

საქმე, რომ გიჭირდეთ და ბებიის შოვნა გინდოდეთ, დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვი. უნდა მიმართო ისევ შინაურ ბებიას, და ბალახ-ბულახის წამლებით უნდა აბრუნოს საბრალო გაჭირვებული ადამიანი.

რებუსი.

—

ფელეტონი

წერილი რაჭიდგან

(გზა და გზა)

III*)

ნიკორწმინდას მივედით მარიამობისთვის 14-ს. მთელი მიდამო ნიკორწმინდისა მშვენიერი და მომხიბლავია. დაცემულსა და განიერს ამწვანებულს ვაკე-მიდამოს, ზოგან-კი გორაკებით შემკულს, მხოლოდ 3—4 ვერსის მანძილზედ, სამხრეთ-დასავლეთით, აკრავს ხშირი და მაღალი ხეებით შებურვილი მთები. ჰავა ფრიად მსუბუქი და მშვენიერია. ზღვის დონიდგან ნიკორწმინდის მდებარეობა თითქმის ვერსს ნახევრით არის მაღალი (4,785 ფ.). აქაურობა ერთი საუკეთესო საagარაკო ადგილია. ჩვენის მეფეების საზაფხულო საცხოვრებლად ეს ადგილები ყოფილა. ნიკორწმინდიდგან ორი ვერსის მანძილზედ მდებარეობს სოფ. აგარა, რომელიც წარსულში მეფეთა და წარჩინებულთა საagარაკო ყოფილა, და ამის გამო დარქმევია „აგარა“.

ნიკორწმინდა კოპწია და მშვენიერი სოფელია. აქ სულ გლეხობა ცხოვრებს, რიცხვით სამას კომლამდის. ლაზათიან საჯალაბო სახლს გარდა, მაღალი ფიცრულის ღობით შემოვლებულს კარ-მიდამოში ყოველ გლეხს უდგია, სასტუმროდ, სამ-ოთხ თვლიანი გადაჭედილი ოდა. არც აღმოსავლეთს და არც დასავლეთს საქართველოში ამისთანა კოხტად და კარგად მოწყობილი სოფელი არ მინახავს. აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვერც დაძველებულს სახლს და ვერც დაბეჩავებულს მოსახლეს.

ამ სოფელს ხელობად აქვს დურგლობა და ამ ხელობით განთქმულნი არიან აქაურები. მთელს რაჭაში, რაც კარგი სახლია, მეტადრე ქვემო-რაჭაში, მომეტებული ნაწილი ნიკორწმინდელების აშენებულია. აქ ხშირათ გაიგონებთ: „რა გატრაბახებს! შენ მომიკვდე, ნიკორწმინდელებს გავხარ დურგლობაშიო!“

ნიკორწმინდის ტაძარი წმინდა ქართული ყაიდისაა და გელათისა და მცხეთის გვარი, მხოლოდ მათზედ მორჩილი; სდგას სოფლის პირში სამხრეთით მაღლობ ადგილზედ. ეს დიდებული ტაძარი, როგორც წარწერებიც მოწმობს, აგებულია ბაგრატ მეოთხისაგან, მეთერთმეტე საუკუნეში. ბაგრატ მეფობდა 1027—1972 წწ. დასავლეთის კარების ბჭეზედ აქამდის მშვენიერად დაცულია შემდეგი წარწერა: „ქრისტე, ძეო ღვთისაო. ადიდე სამართლით და დღეგრძელობით ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე, ქართველთა კურატპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი“. ეკკლესია ნაშენია, თლილი მოჩუქურთმებული ქვით და, განსაკუთრებით, მთელი გუმბათი იშვიათის და განსაცვიფრებელის ხელობის ჩუქურთმით არის აგებული. მთელ გუმბათზედ ვერ იპოვნით ხელის სიფართე ალაგსაც, რომელიც ძრიელ წვრილის და ღრმა ჩუქურთმით არ იყოს შემკული. უყურებ ამ ჩვენის წარსულის ხუროთმოძღვრების და ხელოვნების დიად ნაშთს და ვერ აშორებ თვალს; გინდა უცქირო და სტკბებოდე მის სიმშვენიერით. მე დამივლია ჩემი ძვირფასი სამშობლო, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მრავალი კუთხეები, მინახავს მისი განსაცვიფრებელი ხელოვნების დიდებული ნაშთები, მაგრამ ნიკორწმინდის ტაძრის ხელოვნებისთანას-კი არსად შემხვედრია.

ფრანგთა მოგზაურს დებუას უნახავს ნიკორწმინდის ტაძარი 1833 წელს და აი, სხვათა შორის, რას ამბობს მის შესახებ:

„ჩუქურთმა და მხატვრობა, რომელიც ჰფარავს გუმბათს, კედლებს, კამარებს და სტოვათ დიდად ხელოვნურია. მე არ მინახავს ამდენად მდიდრად მორთული ტაძარი არც აღმოსავლეთს, არც დასავლეთს საქართველოში. როგორც ქართულის ყაიდის ყველა ტაძრები, ნიკორწმინდის პირი, გარდა კუწუბებისა, შესანიშნავია ხუროთ-მოძღვრების მხრითაც. ვიმეორებ, მე არსად მინახავს ამისთანა მდიდარი ჩუქურთმა, ამისთანა ხელოვნება და არცა არა ცოტაოდნად ამის მსგავსი მაინც“.

ნიკორწმინდის ხელოვნების სიმშვენიერე შეუძლებელია კალმით გამოხატოს. კაცმა თვითონ უნდა ნახოს თავისი თვალით ეს დიდებული და განსაცვიფრებელი ხელოვნება, რომ იგრძნოს სრული სიამოვნება და სიტკბოება.

ტაძრის შიგნითი კედლები სულ დახატულია, ხოლო ჟამთა ვითარებისაგან ზოგი ჩამოფერფლილა, გაძრცვნილა, მაარამ ჯერ კიდევ იმდენად მკაფიოდა სჩანს ყოველივე ნაკვთი მხატვრობისა, რომ თუ დროზედ მიეშველებიან, ადვილად შეიძლება ყოველივეს აღდგენა.

ნიკორწმინდის ტაძარში მრავალი ძვირფასი ხელთ-ნაწერებია, ნაწილები და ნივთები. სხვათა შორის აქ ასვენია ნაწილი წმინდა ნიკოლოზისა—მთელი იდაყვი. ამაზედ ზეპირ-გადმოცემა ამბობს: ბაგრატ კურატპალატს შეურთავს ელლინთა მეფის მანუელის ასული ელენე და წმინდა ნაწილიც მზითვად მოჰყოლია საბერძნეთიდგანაო.

აქ მოვიხსენიებ ნიკორწმინდაში შენახულს რამდენსამე სიწმინდეს:

1) **ხელის-ჯვარი** ნაწილებით, შესანიშნავის ვერცხლის ჩუქურთმით შეჭედილი და მარგალიტებით მორთული; აწერია: „პატიოსანი და ცხოველს მყოფელი ჯვარი ესე მეკუთვნის მე, ივერიის უდაბნოს წმინდა ქალაქის იერუსალემის ბერმონაზონს ლავრენტის. ქ̃კნი 1664“.

აქ არის კაცის სიმაღლე ვერცხლის დიდი ჯვარი, ვერცხლით შეჭედილი და ოქროთი მოვარაყებული, მინანქრიანი. ესეც მშვენიერი ხელოვნების არის და ზედ მრავალი წარწერა აქვს მხედრულად. ერთი წარწერა ამბობს, რომ ეს ჯვარი წმ. ნიკოლოზს შესწირეს დავით წულუკიძემ და მისმა მეუღლემ ფარსანგი ჯავარმა, ლაშხიშვილის ასულმაო. ჯვარი გაკეთებულია მე-XI საუკუნეში.

ამ რამდენისამე წლის წინეთ ვიღაც არხეოლოგებს სდომნიათ ამ ჯვარის აქედგან წაღება, მაგრამ სოფელს არ დაუნებებია; ბრძანებაც მოუტანიათ ჯვარი დაუყონებლივ გადაეცითო, მაგრამ ხალხს მაინც არ დაუნებებია: ჩვენს სიწმინდეს ვერ მოგცემთო.

2) **ხელთ-ნაწერი სახარება**, ვერცხლით შეჭედილს ბუდეში, რომელზედაც გამოხატულია ოთხი მახარობელი, ლაზარეს აღდგინება, მარიამ, ანგელოსი და ქრისტეს საფლავი. წარწერა აქვს: „მე დავით წულიკიძემ შევსწირე სახარება ესე ტაძარსა წმინდისა ნიკოლოზსა, ვინ გინდა გამოახვას, ანუ ეფისკოპოზთა, ანუ მღვდელ მონაზონთა, ანუ დიდებულთა რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი. ჩვენთ ნაცვლადამც განიკითხვიან ამინ. დაიწერა წმინდა ესე ოთხთავი ინდიქტიონსა მეფეთ მეფის გიორგის ჟამს და ქორონიკონს ს ჲ თ“. (=1581 წ.).

3) **წმინდა ნიკოლოზის ხატი**, სიმაღლით თითქმის ორი ალაბი და სიგანით ერთ ნახევარი; გარშემო აქვს ოქროთი მოვარაყებული ვერცხლის განიერი არშია, რომელზედაც სხვა-და-სხვა წმინდანებია გამოქანდაკებული. ზეპირ-გადმოცემა ამბობს, ამ არშიაში ჩასვენებული წმინდა ნიკოლოზის ძველი ხატი წაუღიათო და მის მაგიერ ჩაუსვამთ ახალიო.

ღვთისმშობლის ხატი სიგძით ერთი ალაბია, სიგანით ნახევარზედ მეტი. მოჭედილია ოქროში დაფერილი ვერცხლით, წარწერა აქვს: „ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან გიორგი და ძემან ჩვენმან ლეონ მოვაჭედინეთ ესე ყოვლად წმინდისა ხატი წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის სადღეგრძელოდ ძისა ჩვენისა ლეონისათვის და საოხად სულისა ჩვენისათვის. ამინ“.

4) **მაცხოვრის ხატი** შემდეგის წარწერით: „ძემან კურთხეულისა ერისთავთ ერისთავის რატისმან კახაბერ შევჭედე ხატი ესე ჯვარცმისა საოხად და სალხინებლად ცოდვილისა სულისა ჩემის და სადღეგრძელოდ ძისა ჩემისა ერისთავთ ერისთავისა რატისა“.

5) **მოციქულთა და წმინდათა ცხოვრება.** მიწერილია:

„მამაო, მისთვის მიყვარხარ,
საიმედო ხარ გულისა,
ამა სოფელსა შეგელი
ამომხსნელი ხარ სულისა;
ნახვა მინდოდა თქვენი,
ნატვრად სამსახურისა;
თუ არ ვიყო ერთგული,
შემცოდეც ვარ რჯულისა“

ტაძარში იმდენი ძვირფასი საუნჯეა, რომ მათ დაწვრილებით აღწერას მთელი ტომები მოუნდება, ჩვენ ამას არ შევუდგებით, არც დრო და მოცალეობა გვაქვს და ვერც ასწერს ჩემი სუსტი კალამი, ეს სპეციალისტების საქმეა, ჩემი სურვილი მხოლოდ ის არის, რაც შეიძლება მოკლედ გავაცნო მკითხველებს „გზა და გზა“ ჩემი ნახული და გაგონილი.

ვიმეორებთ, ვისაც უნდა დასტკბეს, ამ ტაძრის შვენიერებით, უნდა თავის თვალით ნახოს, და არც მიეტევება ქართველს, არ ნახოს ეს ძვირფასი და მართლა დიდებული ნაშთი. გზა კარგია და ახლო: ქუთაისიდგან ტყიბულამდე მივა რკინის გზით, რომელიც ძლიერ იაფია—ათ შაურამდინ ღირს მეორე კლასი, ტყიბულაში მუდამ მრავალია გასაქირავებელი ცხენები, ნიკორწმინდამდის ტყიბულიდგან არის სულ თხუთმეტი ვერსი, ცხენის ქირა ერთი მანეთია, გზა მშვენიერი, გადმოდის ნაქერალაზედ, მდებარეობა ლამაზი და ათას გვარად აფერადებული; ბუნებით შემკულ უკეთესს ადგილებს იშვიათად ნახავს კაცი თვით კეკლუცსა და მდიდარ საქართველოს სხვა კუთხეშიაც-კი.

ღამე გავათიეთ ნიკორწმინდის მღვდ. ფოფხაძესთან. ეკკლესიას არა აქვს სახლი მომსვლელთა და მლოცავთათვის, ღამის გასათევად. ნიკორწმინდას გარშემო მთა აკრავს და ხელობაც მთელი მრევლისა, როგორც ზევითა ვსთქვით, ხე-ტყის მზადება და სახლების შენებაა. მიუხედავად ამისა სამრევლო სკოლა-კი აქ არ არის, თუმცა მ. ფოფხაძემ

---

*) იხ. „ივერია“ № 207.

ბათუმი. 30-ს სეკდემბერს ბათუმის ქალაქის საბჭოს მოჰხსენდა განსახილველად და დასამტკიცებლად გამგეობის ერთი ფრიად საოცარი წინადადება:

ქალაქის გამგეობაში მსახურებდა უფროს ბუხჰალტრად, აგერ ათი წელიწადი იქნება, ბ-ნი რადვილოვიჩი და წლიურ ჯამაგირს იღებდა 2,200 მან. წლეულს, ივლისის დამლევს, ბ-მა რადვილოვიჩმა ქალაქის გამგეობაში სამსახურს თავი დაანება, რადგან აქაურს ერთ-ერთ სატრანსპორტო და ცეცხლისაგან დამზღვევ კანტორის აგენტად დაინიშნა, სადაც წლიურად ექვსი ათას მანეთამდე ეძლევა. ბ-ნს რადვილოვიჩს წერილობით მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვის და უთხოვნია, რომ საბჭოს გააგებინეთ ჩემი გასვლა ქალაქის სამსახურიდან და ისიც, რომ ამდენის ხნის განმავლობაში უმწიკვლელად და მუყაითად ვასრულებდი ჩემს თანამდებობასო. გამგეობამ წაიკითხა-რა ეს განცხადება, დასძინა, რომ საჭიროა ბ-ნს რადვილოვიჩს ათის წლის ერთგულ მუშაობისთვის ერთის წლის ჯამაგირი, ე. ი. 2,200 მანეთი ვაჩუქოთო.

ხმოსანი **ლევან მჭედლიშვილი**, შეეკითხა გამგეობას—საიდგან დაასკვენით თქვენ, რომ პეტრე ფრანცის-ძე (რადვილოვიჩი) ფულით დასაჩუქრებას თხოულობს, როდესაც მისს წერილში არაფერი ასეთი არ არის მოხსენებულიო? კიდევაც რომ ფულებს თხოულობდესო,—განაგრძო ხმოსანმა,—ასეთის თხოვნის დაკმაყოფილება უხერხული იქნებოდა, რადგან ბ-ნ რადვილოვიჩის ჯანმრთელობას ქალაქის გამგეობაში სამსახურით არავითარი ვნება არ მისცემია და ქონებრივადაც იმდენად არის დაკმაყოფილებული ახალს თანამდებობაზედ, რომ ჩვენი საჩუქარი სრულიად არ არის მისთვის საჭიროვო. ქალაქს ფული არა აქვს; ამიტომაო, ჩემი აზრია ეს საკითხი გადაუწყვეტელი დავსტოვოთ იმ დრომდე, სანამ რაიმე წყარო არ ამოგვიჩნდება მის დასაკმაყოფილებლადო.

შემდეგ ილაპარაკეს ბ. ქიქოძემ და ბ. საბახტარაშვილმა, და ორივენი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, საბჭო ვალდებულია ეხლავე გადასდოს ფული ბ-ნ რადვილოვიჩის საჩუქრადო.

ბ-ნ საბახტარაშვილს არც-კი დაესრულებია თავისი სიტყვა, რომ ლევან მჭედლიშვილს გული წაუვიდა და ველარ მოაბრუნეს. საბჭოს კრება მაშინვე გადასდო თავმჯდომარემ.

—

2 ოკდომბერს მიწას მიაბარეს განსვენებულის ხმოსნის ლევან მჭედლიშვილის გვამი. სახლიდან ცხედარი გამოასვენეს დილის $10^{1}/_{2}$ საათზე და კათოლიკეთა ეკკლესიაში მიასვენეს. გამოსვენებას დაესწრნენ ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი, ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი გრ. ვოლსკი, საბჭოს ხმოსნები, ქალაქის გამგეობის მოხელენი და, მიუხედავად იმისა, რომ კოკისპირული წვიმა მოდიოდა, მრავალი გარეშე ხალხი. კუბო და ამფიონი შემკული იყო მრავალ გვირგვინით. წირვისა და წესის აგების შემდეგ ცხედარი წაასვენეს სოუქსუს სასაფლაოზე, სადაც ნაშუადღევის პირველს საათზე დამსწრენი უკანასკნელად გამოეთხოვნენ თავიანთ ძვირფას თანამოქალაქეს.

ლ. ლევანიძე.

—

პანკისის ხეობა. (თიანეთის მაზრა). „ერთი სიტყვა ეშმაკისგანაო“ ნათქვამია და, მე ამით ის-კი არ მინდა გსთქვა, რომ ეს ყველა კუთხის აგენტები, სოფლის მკითხავ-მარჩიელები საკეთილოს, ან სარგო რჩევა-დარიგებას აძლევდნენ სოფლის ყველა მცხოვრებთ, ან თუ, პოეტისა არ იყოს, ფაზარ-ხუთოს ულესავდნენ მათ ავათმყოფებს, არამედ ის,—რომ სოფლელთ დღევანდელი ცხოვრება გარემოება, ნამეტნავად მივარდნილს მიყრუებულს ადგილებში, წარმოადგენს სრულს წყალ-წაღებულობას, რომელიც ყველამ უწყის და რა გასამტყუნარია წყალ-წაღებული, რომ ხავსს მოეჭიდოს! სოფლელი ვინ იქნება ისეთი შეუგნებელი, ბრიყვი და აჯამი, რომ არ ესმოდეს წამლის სამკურნალო ძალა, მისი მნიშვნელობა და სარგებლობა, ან ექიმისა და ფერშლის საჭიროება გაჭირვებულ ავათმყოფთათვის. მგონია, პირველად ბალახ-ბულახით წამლობა სოფლიდამ იყოს შემოღებული და მახმარებელნიც სოფლელი იყვნენ... ამას ამტკიცებს სოფლური კარაბადინები. რომ მეცნიერებამ აქედან გზა გაიკვლია და ბალახ-ბულახით წამლობა სულ სხვა წრეზედ დააყენა, ეს პირველნი სოფლის ოსტატნი გააბათილა და მათი სამსახური სულ სხვა პირთ მიანდო, ესეც კარგად იცის სოფლელმა, მაგრამ მისმა ცოდნამ რა ჰქნას, როდესაც ამ განკარგებამდე მას ხელი ვედარ უწვდება. სოფლელს ძალიან კარგად ესმის და იცის, რომ მისი ავათმყოფის მშველელი ჯერ ღმერთია, და მერე ექიმი, ისიც კარგად იცის, რომ მას ამ ექიმის შეწევა იაფად არ უჯდება. ფული უნდა, ეს პატარა ღმერთი! ისესხოს, რადა ჩაასესხოს! მისი ავლა დიდება წლის მოსავალია და „დოხტური“ იმას არ დასჯერდება. იცის, რომ უფულოდ ავადმყოფს ვერ უშველის. გაჭირვებული მიდის აფთიაქში (ქსენონს აფთიაქს ეძახიან) და ექიმი ეუბნება: „ავადმყოფი თუ არა გნახე, წამალს ვერ მოგცემ, უნდა აქ მოიყვანო; თუ წამოვალ და იქა გნახავ, ერთი თუმანი (ან 5 მანეთი) ფეხის ქირა ეღირება; ამასთან კარგი მატარებელი ცხენი უნდა მომგვარო მესაფერის შეკაზმულობით და წამალიც მერე გამოგივაო“. რა ჰქნას საწყალმა სოფლელმა, ყველაფერი რომ მოახერხოს, ის თუმანი ვერაფრით მოუხერხებია. უნდა ადგეს და თავისი მეწუხებული ავადმყოფი ან კამეჩის ურემზედ დააწვინოს და ისე წაიყვანოს (იქნება ქსენონამდე ვერც-კი მიასწვრიოს), ან არა და სულ თავი მიანებოს, მით უმეტეს, რომ იცის ექიმის ერთი ნახვა საკმაო არ იქნება და მუდამ თითო ნახვაზედ, რომ თუმნები აძლიოს, სად იშოვოს. ერთმა გლეხმა აი რა მიამბო: ქალი ავად გამიხდა. მისი დოხტურთან ურმით წაყვანა შეუძლებელი იყო. წაველ აფთიაქში წამლებისთვის და რა-კი ვიცოდი, ავადმყოფის უნახავად წამლებს არ მომცემდნენ, გზა-გზა ბლომად მჟავე ტყის მაყალი ვჭამე, ასე რომ ენა სულ მომითუთქა და დამიშაშხა, მერე პირზედ ერთი რამდენიმე ყვითელ-თავა ბალახის მტვერი წავისვი, მივედი დოხტურთან. იმან მაჯა გამისინჯა, თვალი დამაჭყეტინა, ენა გამომაყოფინა და მერე წამალი დამინიშნა; წავიღე წამლები შინ, დავალევინე ჩემ ქალს, როგორც მითხრა, და მგონია, იმით მორჩაო“. მკითხველი ამით კარგად მიჰხვდება საქმის ვითარებას. რა თქმა უნდა, ყველა ასე ვერ მოატყუებს ექიმს და მის წამალსა და შველასაც ვერ ეღირსება და უნდა, მეტი გზა არ არის, ისევ თავის მკითხავ-მარჩიელებს მიენდოს.

—

აგვისტოს ნახევრიდანვე ტაროსმა აქ როგორღაც შემოუტია და ძალიანაც შეტუქსა და შეაშინა საწყალი ხალხი, ზოგს მომკილ-მოტანილი ძნარც-კი გაულეწნა. ამავე რიცხვიდამ ბარის მერცხლები სულ დაიკარგნენ და მთისები ძირს ბარად ჩამოვიდნენ. მომკვდარ გათეთრებული ბუზები აქა-იქა ფეხებ აფშეკილები იყვნენ სახლების ჭერობზედ მიკრულები.—ამ თვის ცხრას დაიწყო ცივი წვიმა და 15-მდე სულ გადაუღებლად სწვიმდა. მთები მთლად და ტყეები ნახევრამდე დაითოვლა. გათიბული თივები სულ წაახდინა. მდინარე ალაზანს არე-მარე თან მიჰქონდა. მაღლა იალაღზედ ასული მოიგარავე ხალხი,—თუში, ფშავი, ხევსური, ქისტი ამ თვის პირველამდე სულ ჩამოვიდნენ თავიანთი ბინა-საქონლიანად. მთის ცხვარიც სულ ჩამოირეკა. ამ თვის 15-დამ გამოიდარა; იმ ღამეს ცამ მოიწმინდა და ძალიანაც ციოდა; მეორე დილით ხელის სისქე თრთვილი იდო დედამიწაზედ და ამან უბრალო ხის ფოთოლიც-კი დააზიანა. შემდგომ, ცოტა არ იყოს, ისევ დათბა და ხალხი სამუშაოზედ გავიდა. სიმინდებს სჭრიან.

აქ ერთ მოსახლის ბოსელი, რომელშიაც ძროხები ჰყავდა შერეკილი, შუაღამისას დაიქცა. დედაკაცებმა მორთეს საშინელი წივილ-კივილი და კაცმა თოფის სროლა. ხმაურობაზედ სოფელი საჩქაროდ მიეშველა და ძროხები გადაარჩინეს. ზარალი არაფერი მომხდარა. ცხენის ქურდობა ისევ ხშირია და ასე, დიდი ხანიცაა, არა [illegible].

ამ თვის 15-ს, ღამით მარტო ერთი სოფლიდამ 8 ცხენი მოიპარეს.

ქისტი-ჩობანი.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისურ გაზეთებში დაბეჭდილია ბალფურის მოწოდება კონსერვატიულ დასის მიმართ. პრემიერი ამბობს, რომ პარლამენტის სესია მომავალ ხუთშაბათიდგან დაიწყებაო და აუცილებლად საჭიროა, პირველ სხდომებს მაინც მთავრობის მომხრეთა უმეტესობა დაესწროს, რადგან დიდ-მნიშვნელოვანი საქმეებია გადასაწყვეტიო.

— ლიბერალთა დასის ყოფილმა ლიდერმა ჰარკორტმა სიტყვა წარმოსთქვა ებველში და განაცხადა, რომ ეხლა, ომის გათავების შემდეგ, დროა მეტი ყურადღება მიექცეს შინაურ საქმეებსაო.

„ეხლანდელი მთავრობა—სთქვა ორატორმა—მხოლოდ ომით სულდგმულობდა და საზრდოობდა; სხვა რაიმე სახსარი არსებობისა მას არა ჰქონია. მაგრამ დასრულდა ომი და დადგა დრო, ფრთები შევაკვეცოთ ჩვენს ალტაცება-აღფრთოვანებებს; დროა შევავსოთ ის ნაკლი, რომელიც კარგა ხანია დასჩემებია ჩვენს დასებრივს პოლიტიკას. სკოლის კანონ-პროექტი, იმედია, ისევ ძველ ბაირაღ ქვეშ შემოჰკრებს ყველა ლიბერალთა. ლიბერალთა დასის დევიზი—გონიერება და სამართლიანობაა; ტორიების დევიზი-კი ქონებრივი კეთილდღეობა, უპირატესობისა და გავლენიანობის მოპოვება და ზიზღი საზოგადოების კანტროლისადმი! გამარჯვება, უეჭველია, ლიბერალებს დარჩება. სასკოლო კანონ-პროექტი უნდა დაეცეს და კიდეცაც დაეცემა იგიო“.

ავსტრია-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტი შეიკრიბება ხუთშაბათს. განკარგულება უკვე მოახდინეს ამის შესახებ. ამის გამო შეიკრიბა მინისტრთა საბჭო და მსჯელობა ჰქონდა ზოგიერთ საყურადღებო საქმეების შესახებ, რომელმაც გამოიწვია პარლამენტის შეკრება. რეისხრატს უპირველეს ყოვლისა წარედგინება პროექტები სამხედრო და ბეჭდვითი კანონების რეფორმისა. განხილვა საბაჟო შეთანხმებისა გადაიდო მომავალისათვის.

— სამშაბათს თათბირი ჰქონდათ მინისტრ-პრეზიდენტსა და საპარლამენტო დასთა მეთაურებს.

კერბერმა გადასწყვიტა პარლამენტის მოწვევამდე კიდევ შეეცადოს და კერძო მოლაპარაკებით როგორმე მოიბიროს მოწინააღმდეგენი, რომ მომავალი სესსია მშვიდობიანად ჩაიაროს. გაზეთი „Nue Freie Presse“-ის აზრით-კი ამ მოლაპარაკებას ჩეხ-გერმანელთა კონფერენციის ხასიათი არ ექნება. კერბერი ყოველ დასს სათითაოდ შესაფერისს წინადადებას მისცემს ენისა და სხვა ეროვნულ უთანხმოებათა შესახებაო. ავსტრიის პრემიერი ჰგონებს, რომ ამ გზობისად დროებით მაინც შეათანხმებს ჩეხ-გერმანელთა და ყველანი ერთად შეუდგებიან საერთო საპარლამენტო საქმეებს.

ბულგარია. მთავარ ფერდინანდს განზრახვა ჰქონდა შიპკის იუბილეის შემდეგ ოსმალეთის ხონთქართან სადარბაზოდ წასულიყო და ამით, ცოტა არ იყოს, შეესუსტებინა ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელსაც, უეჭველია, მოახდენდა პორტაზე ეს უსიამოვნო მოგონება და დღესასწაული. მაგრამ ეხლა იუწყებიან, რომ მთავარმა ჯერ-ჯერობით გადასდვა თავისი განზრახვა. პოლიტიკურ წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ, მაკედონიის საქმეების გამო, ფერდინანდს სტამბოლს მისვლა, ამ ჟამად უხერხული იქნებოდა და, ალბად, ამ მიზეზით აღარ განახორციელა მთავარმა თავისი განზრახვაო.

ბელგია. გაზეთი „Morning Leader“-ი იუწყება, ბელგიის მეფე ლეოპოლდ მე-II-ეს განზრახვა აქვს თავისი ტახტი ძმისწულს დაუთმოსო.

ჰოლლანდია. ევროპაში ბურების ახალშენთა ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი დოქტორი ლეიდსი ჰოლანდიის სამსახურში შესულა: იგი დაუნიშნავთ ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის უმაღლეს სასამართლოს წევრად.

სამხრეთ-აფრიკა. ტრანსვაალის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი შალკ-ბურგერი ოქტომბრის 7-ს ლიდენბურგით იოჰანესბურგს მისულა ლორდ მილნერთან მოსალაპარაკებლად, ბურგერთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. შალკ-ბურგერი ახლო-მომავალში ევროპას გაემგზავრება და ბურების გენერლებს, ლუი-ბოტას, კრისტიან დევეტსა და დელარეის, შეუერთდებაო.

— ბურების მეციხოვნეთა უფროსი ლუი ბოტა—გენერალ ლუი ბოტას ძმისწული—ოქტომბრის 9-ს ბერლინს მივიდა თავის ორის მდივნითურთ. იგი უფროსობდა კაპის ახალშენის მეამბოხეებს; მას ხელი არ მოუწერია ინგლის-ბურების ზავის პირობაზე. უკანასკნელ დროს იგი მცირედის რაზმით ძლივძლივ გაუსხლტა ხელიდგან ინგლისის ჯარებს და გერმანიის სამხრეთ-აფრიკის სამფლობელოში გადავიდა.

სხვა-და-სხვა წერილები

ქართული ენა

III

სიტყვების ნაწევართა ცვალება და ბგერათა ფონეტიკური ცვლილება.

სიტყვების აგებულობის გამორკვევის დროს საჭიროა ვიცოდეთ რა ცვლილებას ღებულობენ ხანდახან სიტყვის ნაწევრები და საზოგადოდ რანაირად იცვლებიან ფონეტიკურად ქართული ბგერები.

ფუძეში ხშირად ხდება ამნაირი ცვლილება:

1, ხმოვანის ბგერის გაქრობა ან გაჩენა: **ქამ**-ა, სა-**ქმ**-ელი, გა-**ნათ**-ებ, სა**ნთ**-ელი; გა-**ზრდ**-ა, მო-**ზარდ**-ი; **ზრ**-ოლება, **ზორ**-ილი; **ცეხ**-ლი, **ცხ**-ელი (**ცეხ**-ელი), **ცოხ**-ალი, **ცხ**-ოველი (**ცეხ**-ოველი).

2, ხმოვანის ბგერის გადაცვლა სხვა ხმოვანზე: **ჩენ**-ა, **ჩინ**-ებული, მო-**წონ**-ება, და**წუნ**-ება.

3, თანხმოვანი ბგერის გაქრობა: **ცნ**-ობა, უ-**ც**-ებ; **გრგ**-ოლი, **რგ**-ოლი; **ლმ**-ობა, და-**მ**-ბ-ალი.

4, თანხმოვანის გადაცვლა სხვა თანხმოვანზე: სა-**ქმ**-ელი, უ-**ზმ**-ო; **კრ**-ება, **ყრ**-ილობა; **თქმ**-ა, სი-**ტყვ**-ა.

გვითხრა: „სამრევლო სკოლაც და მლოცავთათვის ღამის გასათევი სახლიც ამ ცოტას ხანში უთუოდ გაკეთდებაო“. ღმერთმა ჰქნას, სიტყვა საქმედ იქცეს. უსკოლობა ამისთანა მდიდარს სოფელს არ შეეფერება და არც რიგია სემინარიაში კურს დამთავრებულს მოძღვარს ერის სასწავლებელი სახლი არ ჰქონდეს.

მარიამობისთვის 15-ს ნიკორწმინდიდგან წავედით ახლო-მახლო მდებარე ადგილების დასათვალიერებლად. ვნახეთ ერთი-მეორეზედ უკეთესი ადგილები და მივედით მოზდილ მდინარე შაორზედ, რომელიც დედაა და ბოლაზი კალმახისა. ჩვენს სამშობლოში კალმახი ბევრგან იცის, მაგრამ ამოდენა და ასე გემრიელი კი არსად. ეს ხალხსაც შეუმჩნეველი არ დარჩენია და სიმღერაში, სხვათა შორის, ამბობენ:

თევზი ყვირილის სჯობია,
კალმახი შაორისაო,
ორაგულები თერგისა,
ზუთხი-კი რიონისაო.

ეს უშველებელი შაორის მდინარე, რომელიც ხუთი-ექვსი საჟენის სიგანეზედ მოდის, უცებ იკარგება დედა-მიწაში, და სად მიდის და სად არა, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის. მდინარე მოდის აღმოსავლეთიით დასავლეთისაკენ გაჩქარებული, ერთს ადგილზედ მდორდება, ტრიალებს და იკარგება, მერე იწყება ვაკე საყანეები, გორაკები. გვითხრეს, შაორის წყალი საცა იკარგება, იმ ადგილებიდგან ხუთის ვერსის მანძილზედ ხელ-ახლა ჩნდება ქელიშის მამათა მონასტრის ახლოვო.

დავბრუნდით უკან, გამოვიარეთ ისევ ნიკორწმინდაზედ და გავემგზავრეთ დასავლეთის მხრით ქელიშის მონასტერში, რომელიც ნიკორწმინდიდგან სულ ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზედ მდებარეობს. გავიარეთ ორი ვერსის მანძილი, შემდეგ დავეშვით ვიწრო გზით ფრიალო მთის თავდაღმართზედ. ეს ფრიალო დაღმართი სიგრძით თითქმის ერთი ვერსია; ჩავედით ძირს და ვნახეთ ერთი უშველებელი გადმოხურული კლდე. ამ გადმოხურულ კლდის ქვეშ ორასზედ მეტი ცხენოსანი თამამად დაეტევა და შეეფარება. სწორედ ამ კლდის ძირში ღრუდოლდგან გამოჰქუხს უშველებელი მდინარე, რომელზედაც დაყოლებულია სამ-სამ და ოთხ-ოთხ დოლაბიანი წისქვილები. ამბობენ, ეს წყალი შაორის მდინარეაო, რომელიც ნიკორწმინდის ზემო-მიდამოებში იკარგება უკვალოდ. ამ წყლის სათავიდგან მონასტრამდის ორი ვერსია, გზა ფართოა და მშვენიერი, მიდის სულ მდინარის პირად ორს მაღალ-მთებშუა. ცოტაოდნათ გზის ჩამოკლების შემდეგ, სამხრეთის მხრივ მთის ძირიდგან გამოჰქუხს მდინარე „ბინული-წყალი“, ცივი ისეთი, როგორც ყინული, და უერთდება ქელიშის მდინარეს. ქელიშის მდინარე სავსეა კალმახით.

მივედით მონასტერში, ჯერ წირვა გამოსული არ იყო. ქელიშის მონასტერი ღვთისმშობლის სახელობაზედ არის აგებული და ამ დღეს მონასტრის დღეობა იყო „მარიობა“. ხალხი ბლომად მისულიყო ახლო-მახლო სოფლებიდგან. მწირველი ბრძანდებოდა ყაზანის აკადემიაში სწავლა-დამთავრებული და დღეს წინამძღვარი ამ მონასტრისა არხიმანდრიტი ამბროსი (მღვდელობაში ხელაია) თავის კრებულით. წირვის შემდეგ მამა ამბროსიმ წარმოსთქვა გრძნობით სავსე ქადაგება, რომლის გაგონებამაც მრავალ-მლოცავს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა.

მამა ამბროსი სულ წელიწადი არ არის, რაც აქ წინამძღვრად გამოამწესეს, მაგრამ ღვთისა და ხალხის მოყვარე ადამიანისათვის ეს მოკლე დროც საკმაო ყოფილა, რომ წრფელის გულით შეეყვარებია ხალხს. ამისთანას შესახებ თქმულა:

„რა კარგია კარგი კაცი,
კარგს საქმეზედ აგებული,
ქვეყანა ჰყავს მადლიერი,
სწორის გული მოგებული“.

ახლო-მახლო სოფელში ჩვენ იმისთანა კაცს არ შევხვედრივართ, რომელიც წრფელის გულით არ იყოს გამსჭვალული მამა ამბროსისადმი ღრმა პატივის-ცემით და სიყვარულით.

—როგორია, ძმობილო, თქვენის უდაბნოს ახალი წინამძღვარი? ვკითხავდით სოფლელებს.

— ღმერთმან კარგი დაგმართოსთ, კარგი რამა გვყავს მამა ამბროსი; რომ იტყვიან, ღვთის ენა-პირი ასხიაო, სწორედ ის არის. აგერ ამ ხნის კაცი გახლავართ და ჯერ მაგისთანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვილისთანა ქადაგება გაგვიგონიაო.

ქელიშის უდაბნოს გარეგანი შეხედულობა და მისი მდებარეობა ცხადად დაგარწმუნებსთ, რომ ჩვენ გვყოლია ნადვილი ღვთის მოსავი და ხალხის მოყვარე-მამები, რომელთაც კარგად სცოდნიათ ღვთის სამლოცველოდ და ერისათვის სამოღვაწეოდ როგორი ალაგია საჭირო. ქელიშის მონასტერი შემოკრულია უშველებელის მაღალის მთებით, არც გზა აქვს ახლოს და არც კვალი; ძნელად მას კაცი მიუდგეს, თუ გულ-და-გულ იქ არ მიდის. ამ უტეხ და მიუდგომელ მთებშუა, როგორც ჩაშუქებული ნათელი, სდგას ობლად პატარა მონასტერი ქელიშისა, გალავან შემოზღუდული ქვიტკირის კედლით და ამ მონასტერში მავედრებელ ძმათა სახლებით.

მონასტრის გალავან გარედ მრავალი დიდრონი ნიგვზის ხეებია, პატარა ვაკე, საცა ბოსტნეულობა ითესება და დიდი აუზია კალმახებისათვის. მამა ამბროსიმ გვითხრა, მონასტრის ზოგი ფრიად ძვირფასი ეტრატის ხელ-ნაწერები აქვს შესანიშნავის ზედ-წარწერებით, მაგრამ დაეხიათ ზოგი მათგანი ვიღაც უვიცებსო და წყლის ჰურჭლის თავ-დასაცობად თურმე ჰხმარობდნენო.

როგორც უმეტეს ნაწილს ჩვენს უდაბნო-მონასტრებში, ისე ქელისშიაც არ არის ჯერ-ჯერობით რიგიანად მოწყობილი ქართულის გალობის საქმე, თუმცა აქ როგორც ზევითა ვსთქვით, ათამდე ბერია შევრდომილი; ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მთელი რაჭა ამ მხრივ ძრიელ ჩამორჩენია საქართველოს ყველა კუთხეებს. იმისთანა ადამიანის გასვენებაზედაც-კი, როგორიც იყო ანა კვიტაშვილისა, მგალობლები ვერ ვიშოვნეთ და ვილაც უვიცი ბავშვები მოეყვანეთ მგალობლებად, ადამიანს რომ მათი ჰკრიალისათვის ყური დაეგდო, სული და გული ამღვრეოდა და ყოველი სასოება დაეკარგებოდა. იმისთანა დიდებულ ტამარშიაც-კი, როგორიც არის ნიკორ-წმინდის ტაძარი, მგალობელთა გუნდი არ არის და მხოლოდ ერთად-ერთი დიაკონი კიკინობს.

ხშირად ვკითხულობთ ხოლმე: „იმისთანა მორწმუნე ერში, როგორიც იყო დასაბამითვე ქართველები, რამ დასცა ასე ძლიერად სარწმუნოებაო?

ჩვენის აზრით ჩვენს ხალხში სარწმუნოება შეასუსტა იმან, რომ „ახალ-ახალ“ მღვდლებისაგან აღარ ისმის აღარც ცოცხალი სიტყვა, აღარც ქადაგება, აღარც გალობა და აღარც დარიგება. ვიმეორებთ, ესა გვგონია ჩვენს ხალხში სარწმუნოების განელებისა და შესუსტების მიზეზად.

დარწმუნებული ვართ, ქელიშის მონასტერში მამა ამბროსის მეცადინეობით მალე ემეცლება ამ სატკივარს და ეს დიდი ნაკლი, დღეს თუ ხვალ, გასწორდება, მაგრამ ასრე იქნება რაჭის დანარჩენ ეკკლესიებშიაც?

რაჭას ახლა სამოცამდე მღვდელზე მეტი ჰყავს სემინარიაში სწავლა დამთავრებული, მაგრამ თვალ სანიშნო საქმე ამოდენა განათლებულ მღვდლებისაგან-კი არა ჩანს-რა [illegible], მე, გზა-და-გზა მეთვალყურემ, ვერ შევამჩნიე მათი საზოგადო ნაღვაწევი, ან მშვენიერი მწყობრი გალობა ეკკლესიებში. ძალიან დაგვავალებდა რაჭის რომელიმე მოძღვარი, თუ მიგვითითებდა ამისთანა რამ მათ მიერ საერთო ნაღვაწევზედ, საზოგადო რამ მათ მიერ დაწესებულობაზედ.

ამოდენა განათლებულ მღვდლებს იშვიათად აქვსთ რაჭაში სამრევლო სკოლებიც-კი!

ძველად ჩვენი მონასტრები გვაძლევდნენ მწიგნობრებს, მქადაგებლებს, მგალობლებს და საერო მუშაკებს. მრავალი მონასტერი გვეზრდიდა და გვიწრთნიდა მოზარდ თაობას, რომელსაც მტკიცედ უნერგავდა სარწმუნოებას, რჯულის, ენის და მამულის სიყვარულს.

გამიგონია მოხუცებისაგან და მეც ოდნავ მახსოვს ის დრო, როდესაც სამღვდელოდ გამზადებულს დიაკონს ისე არ აკურთხებდნენ მღვდლად, თუ ერთი, ან ორი წელიწადი რომელსამე გამოჩენილ მამათა მონასტერში არ წავიდოდა გასაწრთნელად და არ შეისწავლიდა სამგალობლო წირვა-ლოცვის წესს, ქადაგებას და მთელის ოთხი წირვის წესის გალობას.

ახლა ეს აღარ არის. დღეს სულ სხვა ნიავმა დაჰქროლა. დღეს მღვდლობის მიღებისათვის გამზადებულს საჭიროდ აღარ მიაჩნია ზედ მიწევნით იცოდეს თავისი დედაენა საქადაგებლად იმ ხალხისა და ერისათვის, სადაც იგი მღვდლად მიდის. აგრეთვე არა სთვლის სრულიად საჭიროდ ქართულის გალობის ზედ მიწევნით შესწავლას.

ღიაღ! ეხლა ის მოხდა, რომ ეკკლესიაში მოსიარულე ხალხის რიცხვი თანდათან შესამჩნევად მცირდება, მღვდლების პატივის-ცემაზედ მრევლი თითქმის გულს იყრის, სარწმუნოების, ენის და ეროვნების გრძნობანი ქვეყანას უქვეითდება და უქრება.

ყველა ამას კიდევ ის მოჰყვა, რომ გამრავლდა ერთმანეთის მტრობა და მოტყუება, ქურდობა და ავკაცობა, კაცის კვლა და ძარცვა, ცრუ ფიცი და ღვთის გმობა, ეკკლესიების კრეხვა და ხალხის ზნეობრივ გახრწნა.

სოსიკო მერკვილაძე.

(შემდეგი იქნება)

ჩემ წინა წერილში მოყვანილი იყო ლექსი: „დედაენა“, ბევრი მკითხვება ამ ძვირფასს ლექსზე: „ვისია, ან როდის დაწერილაო“. ეს მშვენიერი ლექსი „დედაენა“ ეკუთვნის ჩვენს ძვირფასს მგოსანს თ-დ სვიმონ გუგუნავას ნიჭიერ კალამს (რომელმაც თამარიანი გაგვილექსა). დაბეჭდილი იყო უფრო ვრცლად 1793 წელს გაზეთ „კვალის“ მე-14 №-ში.

სოსიკო მერკვილაძე.

5, უცხო ბგერის ჩარევა უკუმატითგან: **ზვნ**-ა იმის მაგიერ რომ ყოფილიყო **ხნ**-ვა.

6, ხმოვანის ბგერის გაორხმება: **ხარ**-ება, მ-**ხიარ**-ული.

7, თანხმოვანის ბგერის ადგილის გამოცვლა: **წყარ**-ო (**წყალ**-ი), **რწყ**-ვა.

8, ბგერათა შეკუმშვა, ანუ გაშლა: **გვალ**-ვა, **გოლ**-ვა; **კურცხლ**-ვა, მ-**კვირცხლ**-ი.

წინმატში ხდება ამნაირი ცვალება:

1, თანხმოვანის გადაცვლა სხვა თანხმოვანზე: **ში**-ში იმის მაგიერ რომ ყოფილიყო **ხი**-ში, **შიმ**-შილი იმის მაგიერ რომ ყოფილიყო **ხიმ**-შილი.

2, ხმოვანის გადასვლა სხვა ხმოვანზე: **შე**-სვლა, **შა**-სვლა.

3, ორის თანხმოვანის გადასვლა ერთს ბგერად: **შთა**-ბერვა, **ჩა**-ბერვა.

4, თანხმოვანის გაქრობა: **წარ**-დგენა, **წა**-დგენა; **გან**-შორება, **გა**-შორება.

5, ხმოვანის ბგერის გაორხმება: **ნა**-ლვარი, **ნია**-ლვარი.

უკუმატში ხდება ამნაირი ცვალება:

1, თანხმოვანის გადაცვლა სხვა თანხმოვანზე: მყ-**ოზი**, მყ-**ოფი**; კრ-**ება**, კრ-**ეფა**.

2, ხმოვანის ბგერის გადაცვლა სხვა ხმოვანზე: უც-**აბედი** იმის მაგიერ რომ ყოფილიყო უც-**ებადი**.

3, თანხმრვანის ბგერის ადგილის გამოცვლა: მძლ-**ავრი** იმის მაგიერ რომ ყოფილიყო მძლ-**ვარი**.

4, ბგერათა შეკუმშვა: გრგ-**ვალი**, გრგ-**ოლი**; ცოდ-**ვა**, ცოდ-**ო**.

5, თანხმოვანის გაპარვა, როდესაც ფესვში გადავა ხოლმე: ხვნ-**ა** (ხნ-**ვა**), წვნ-**ა** (წნ-**ვა**).

როგორც ჩანს ნათქვამითგან, სიტყვის ნაწევართა ცვალებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერათა ფონეტიკურს ცვლილებას. აქ მოვიყვანთ ბგერათა ფონეტიკურის ცვლილების იმ შემთხვევებს, რომლებიც ჩვენ შეგვინიშია.

ა=ე, ი, ო, უ. მაგ. ქარი, ნამქერი; დამატება, მეტი; ცალი, მოცილება; რაგვარი, როგორი; წყალი, წყურვილი; ძალა, იძულება

ე=ი. მაგ. ჩენა, ჩინებული.

ი=ე. მაგ. კიდე, კედარო, კედელი.

ო=უ, ვ. მაგ. მოწონება, დაწუნება, იორი, ივრისა.

უ=ო, ვი, ვ. მაგ. დედუფალი, დედოფალი, კურცხლვა, მკვირცხლი; ჰკუა, ჰკვა.

ბ=პ, ფ, ხ. მაგ. დალბობა, დალპობა; კრება, კრეფა; დაბურვა, დახურვა.

გ=კ, ღ, ქ. ც. მაგ. გრგოლი, კრგალი; აგება, აღება; ადეგ, ადექ; გაგნება, გაცნობა.

დ=თ, ტ, ჩ. მაგ კარგად, კარგათ; სიკვდილი, სიკვტილი; დუმილი, სიჩუმე.

ვ=მ, ფ. მაგ. სავსე, სამსე; დავსება, დაფსება.

ვი=უ. მაგ. წვილი (ყმაწვილი), წული; გაკუვირვება, საკურველი.

ვა=ო. მაგ. კვამლი, კომლი.

ზ=ძ. ჯ. მაგ. ზრახვა, ძრახვა; ზის, დაჯდა.

თ=დ, ტ. ლვთა, ლვდ-ელი; ქვითკირი, ქვიტკირი.

თქ=ტყ. მაგ. ვთქვი, ვიტყვი.

თს=ც; თშ=ჩ. მაგ. თსამეტი (ათსამმეტი), ცამეტი; თშვიდმეტი (ათშვიდმეტი), ჩვიდმეტი.

კ=ყ. მაგ. კრება, ყრილობა.

ლ=ნ, რ. მაგ. სიცილი გაცინება; გული, გუნება, წყალი, წყარო.

მ=ბ, ვ, ნ, ფ. მაგ. მრუდე, ბრუდე; ქმრივი, ქმრივი, ქვრივი; მეფე, ნეფე, მხალი, ფხალი.

პ=ბ. მაგ. პრტყელი, ბრტყელი.

ჟ=ჯ. მაგ. ჟინი, ჯინი; ჟანგი, ჯანგი.

რ=თ, ლ. ს. შ. მაგ. რქვა, თქვა; რული, ლული; რძალი, სძალი; რტო, შტო.

რჩ=შთ. მაგ. ნარჩენი ნაშთენი.

ს=ზ, ც. მაგ. მსგავსი; სხვა, უცხო.

ტ=ჩ. ც. მაგ. ტეხა, ჩეხ-ა, ბრუტიანი, ბრუციანი.

ტფ=თბ. მაგ. ტფილი, თბილი.

ფ=ბ. მაგ. სეფისკვერი, სებისკვერი.

ქ=ზ, ყ, ხ. ქმნა, ზმნა, სუქანი. სუყე, სქელი, სხვილი.

ღ=გ, ხ. მაგ. ყურდღელი, კურდღელი ღვთისმშობელი, ხვთისმშობელი.

ყ=კ. მაგ. ყმაყოფილი, კმაყოფილი.

შ=წ, ჩ. მაგ. შვილდი, ყმაწვილი; სახლში, სახლჩი.

შთ=ჩ. მაგ. შთამომავლი, ჩამომავალი.

ჩ=ც. მაგ. ჩოჩვა, ცოცვა.

ც=ჩ, ძ, თ. მაგ. ფურცელი, გაფურჩვნა, ცარცვა, ძარცვა, ციკანი, თიკანი.

ძ=ზ. მაგ. ფუძე, ფუზე; ნაფუძარი, ნაფუზარი.

წ=ტ, ჭ. მაგ. სწავლა, სტავლა; წმახი, ჭმახი.

ჭ=ზ. ჯ. მაგ. უჭმელი, უზმო; ჭიანჭველა, ჯიანჭველა.

ხ=ყ. მაგ. გატეხა, ტყდომა.

ჯ=ჩ. მაგ. რჯული, რჩული; ვირჯები, ვერჩი.

ა. შვილი.

თეატრი და ხელოვნება

გუშინ, 3 ოკდომბერს ქართულის დრამატიულის საზოგადოების სათეატრო დასმა წარმოადგინა „ცოლს ვეყრებიო“, გადმოკეთებული ვ. აბაშიძის მიერ და „ადვოკატი მელაძე“, 2 მოქმედებიანი ფარსი. სარდუს კომედია ფრიად მხიარული პიესაა, მარილიანის მახვილობითა და ოხუნჯობით, სწორედ ფრანგულის გემოვნებით დაწერილი. კომიზმი მარტო სიტყვებზედ არ არის დამყარებული, არამედ თვით მდგომარეობაც მომქმედთა ფრიად კომიკურია და სასაცილო. ამისთანა პიესა, ჩვენის ფიქრით, ან სულ არ უნდა გადმოკეთდეს, არამედ პირდაპირ გადმოითარგმნოს, ან თუ გადმოკეთდეს, უფრო მეტად უნდა მიეცეს ქართული ელფერი, სრულიად გადმოქართულდეს და შეფარდებულ ექმნას ქართულ ჩვეულებასა და ზნე-ხასიათს.

წარმოდგენამ მხიარულად გაიარა. ზოგიერთს მსახიობს, ცოტა არ იყოს, როლის უცოდინარობა ეტყობოდა, რაიცა ამისთანა ცოცხალის პიესის წარმოდგენაში, დიდად ხელის შემშლელია ანსამბლისა. უმთავრეს როლებს ასრულებდნენ: ბ-ნი ვ. აბაშიძე, ქბ-ნი კარგარეთლისა და ბ-ნი შათირიშვილი და კარგადაც შეასრულეს თავისი მოვალეობა, მხოლოდ. ჩვენის ფიქრით, ნინოს როლი ნაკლებად შეეფერება ქბ-ნ კარგარეთლის ნიჭსა და ამპლუას, მისთვის ბევრად უფრო შესაფერია „გრან-დამის“ და ქალის როლები, ვიდრე ცქრიალა, გულ-უბრყვილო სუბრეტებისა, როგორც არის როლი ნინოსი.

ფარსმაც ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება.

სასამართლო

ამ დღეებში ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომელმაც არ დაამტკიცა გაჩრობა ჭრელაშვილის სახლისა ახშარუმოვზედ. საქმის გარემოება ასე იყო.. დანიშნული იყო გაჩრობით გასასყიდად ჭრელაშვილის სახლი; შესატანი იყო 2700 მან; გაჩრობის დროს 43 მანეთის მაგივრად ახშარუმოვმა წარადგინა მეორე გირავნობის ქაღალდი ამავე სახლზედ 5000 მან. ბანკმა ამ ქაღალდის მაგიერ ნაღდი ფული მოითხოვა და, რადგანაც ახშარუმოვმა ვერ წარუდგინა ეს ფული, ბანკმა არც გაჩრობა დაამტკიცა ახშარუმოვზედ. ახშარუმოვმა ეს საქმე განასაჩივრა ოლქის სასამართლოში; ოლქის სასამართლომ უკანონოდ სცნო ბანკის საქციელი და გადასწყვიტა: ბანკმა გადიხადოს ახშარუმოვის სასარგებლოდ 2,700 მან. ერთი და განსხვავება 54 ათას სახლის თავს ვალსა და ნამდვილად ღირებულ ფასს 105 ათას მანეთ შორისათ.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

3 ოკდომბერი.

ნიცა. მოსკოვის სლავიანურ საზოგადოების დეპუტაცია, რომელიც შესდგებოდა თავმჯდომარის ჩერეპ-სპირიდონოვიჩისა, გენერალ გრინევიჩისა და დიმიტრი კამაროვისაგან, მიღებულ იქმნა მეფისა და დედოფლის მიერ. თავმჯდომარე მიესალმა მათ უდიდებულესობას და სიტყვა მოახსენა. მეფემ მიუგო, არასოდეს არ დავივიწყებ მოსკოვის სლავიანურ სახოგადოების მნიშვნელობას სლვვიანთა ცხოვრებაშიო. დეპუტაციამ მათ უდიდებულესობას მიართვა საპატიო დიპლომები; დეპუტაცია მათი უდიდებულესობის მიერ მიწვეულ იქმნა სადილად.

სოფია. ცონჩევის კომიტეტი კვირას იწვევს კრებას მაკედონიის ამბების შესახებ მოსალაპარაკებლად. განზრახულია, მაკედონელების შველა სთხოვონ იმ დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ სოფიაში. კრების შემდეგ ამავ აზრით მიხაილოვსკი აპირებს ევროპის უმთავრესი ქალაქების მოვლას. გაზეთი „Реформи“ იტყობინება, გადამწვარია დიდძალი სოფლები, რომლებიც მდებარეობენ ბოლგარიის სამზღვარზე სათათრეთის მხრივ. ცეცხლი ბატანთან მეტად მოდებულია. 600 გამოქცეულთაგანი ბოლგარიაში მოვიდნენ. ამბობენ, ოსმალებმა გადასწყვიტეს, უფრო ენერგიულად ვიმოქმედოთო.

ვენა. მლადოჩეხთა კლუბმა ერთხმად შეიწყნარა პროექტი იმისი, თუ რა პასუხი უნდა გაეგზავნოს მინისტრ-პრეზიდენტს ენების შესახებ მორიგეობის თაობაზედ. გამოცხადებულია, რომ კლუბი მთავრობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას დაიწყებს ყველა იმ პრაქტიკულ ღონისძიებით, რომელიც მიღებულია ვენის პარლამენტში.

სარატოვი. გუბერნატორს მიეცა კრედიტი 700,000 მანეთისა ხალხის გამოსაკვებ პურის სასყიდლად და საზოგადო მუშაობის მოსაწყობად. გადასწყდა, რომ 200,000 მანეთი გადიდოს დედათა გიმნაზიის ახალ შენობის ასაგებად.

პარიჟი. ჯერ არ გადაწყვეტილა, ბურთა გენერლები რუსეთში იმოგზაურებენ, თუ არა.

მოსკოვი, ბუნების მეტყველთა წლიურ კრებაზე ფიშერის პრემია 500 მანეთი. მიეცა ფლეროვს. შემდეგს კონკურსისათვის, რომელიც 1904 წლის დეკემბერში უნდა მოხდეს, დანიშნულია თემა. საანგარიშო წელს პროფესორმა ლეისტმა გამოიკვლია ელექტრონმაგნიტის ანომალიები კურსკის გუბერნიაში, პროფესორი სოკოლოვი სწავლობდა შემახიაში მიწის-ძვრის საქმეს. საზოგადოება ემზადება ასის წლის იუბილეს სადღესასწაულოდ.

კონსტანტინეპოლი. პორტის მოთხოვნილებისამებრ, რუსეთმა ქაღალდი გაჰგზავნა სოფიაში ბოლგარიის ბრბოთა სათათრეთის საზღვარზე გავლის შესახებ. როგორც ისმის, ყველა დიდმა სახელმწიფომ აღუთქვა პორტას, მისისავე თხოვნის თანახმად, შესაბამი ქაღალდები წარუდგინონ მთავრობას. პორტას ატყობინებენ სოფიიდგან, რომ ბოლგარიის მთავრობა გააუქმებს მაკედონელთა კომიტეტისაო.

პოლტავა. საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე დაესწრო ადგილობრივ განყოფილების სამუსიკო კლასების კურთხევას და ძალიან მოიწონა კლასების დირექტორის აზრი იმის შესახებ, რომ ეს კლასები გადაკეთდეს სამუსიკო სასწავლებლად იმ საზოგადო განათლების საგნებითურთ, რომლებსაც სწავლობენ გიმნაზიის ოთხ კლასშიო. მისი უმაღლესობა დაესწრო განყოფილების სიმფონიურ კრებას.

სევასტოპოლი. მოვიდა დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასული და დაათვალიერა მამული დიულბერგი.

ბელგრადი. ვერეჩის სამინისტროს დარჩენის იმედი ნაკლებად-ღაა. სამინისტროს გადადგომა, როგორც ეტყობა, მოხდება მეფედედოფლის დაბრუნების შემდეგ ნიშიდან.

ეკატერინოსლავი. საერობო კრებაზე აღმოჩნდა, რომ ეკატერინოსლავის მაზრა სკოლების სიმრავლით, შენობათა მოწყობით და მასწავლებელთა უზრუნველყოფით პირველია გუბერნიაში. არსდება საღამოს კლასები, ხარჯი ხალხის განათლებისათვის ავიდა 85,000 მანეთამდე.

ვენა. თანხმად დეპუტატთა პალატაში შეტანილ 1903 წ. სავარაუდო გასავლისა შემოსავალი გამოანგარიშებულია 1.726.643,263 კრონი, ხარჯი 1.726.225,436 კრონი. შემოსავალი ხარჯზე მეტი იქნება 417,827 კრონით.

კოსტანტინეპოლი. ბოლგარიის ექსარხოსმა სთხოვა ეპისკოპოსებსა და ეკკლესიის წინამძღვართ მაკედონიაში ჩააგონონ ბოლგართა მკვიდრთ მისდიონ კანონიერებასა და შვიდობის მოყვარეობას.

ვაშინგტონი. დღეს გამოცხადებულია ამბავი ქვა-ნახშირის მთხრელთა გაფიცვა გათავდაო.

კელნი. ბურთა გენერლები მოვიდნენ და აღტაცებით მიღებულ იქმნენ პანგერმანთა კავშირის განყოფილების მიერ. დევეტმა განაცხადა, ჩვენ გულში გვაქვს მხოლოდ ფილანტროპია და კაცთ-მო-ყვარეობის საქმე. ვერიდებით პოლიტიკას და დარწმუნებით მოველით, რომ ინგლისი ბევრად უფრო მეტს მოგვცემს, ვიდრე დაგვპირდაო. დღეს დილით გენერლები გაემგზავრნენ ბერლინსა.

პეკინი. სახელმწიფოთა თანხმობით გარეშე საქმეთა სამინისტრომ უბრძანა გარტს შემოიღოს ახალი საბაჟო ტარიფი. ხელი მოაწერეს პორტუგალიასთან ხელ-შეკრულობას, რომლის ძალითაც პორტუგალიას ეძლევა კონცესია რკინის-გზის გაყვანისა მაკაოს.

გონკონგი. კანტონში ბრინჯის მოუსავლობამ შიმშილი გამოიწვია. ეშინიანთ ხალხის აღელვებისა. იკრიბება შემოწირულებანი დაზარალებულთა სასარგებლოდ.

პეტერბურგი. ნება დართულ იქმნა დაარსდეს კიევში განყოფილება ვაჭრობისა და მრეწველობის დახმარების საზოგადოებისა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კოვალევსკის პატივისცემა გადადებულ იქმნა 10 ოკდომბრისათვის.

4 ოქტომბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს სტატს-სეკრეტარის თანაშემწე ლიუბიმოვი დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობიდგან და დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის მმართველად.

რიაზანი. სამაზრო კრებამ გადასდო 1,000 მ. მასწავლებელთა კრების გასამართავად მომავალ წელში.

კონსტანტინოპოლი. როგორც ოსმალეთიდგან იუწყებიან, 1 ოკდომბერს ვარვარიჩში შეტაკება მოუხდათ ბულგართა ბრბოებსა ოსმალეთის ჟანდარმებთან; მოკლულია 10 ბულგარელი და 2 ჟანდარმი. გადარჩენილი ნაწილი ბრბოსი გასდევნეს პეტრიჩისკენ.

ბერლინი. რეიხსტაგში თავისუფალმა მოაზრემ გოტხეინმა სატამოჟნო კანონის წინააღმდეგ ილაპარაკა. კარდორფმა, წევრმა იმპერიის პარტიისამ, განაცხადა დაიცავს კომისიის წინადადებას.

სოფია. მაკედონელთა შორის ძლიერი მოძრაობაა. გაზეთებს ყოველ დღე მოაქვთ შემაძრწუნებელი ამბები იმ ადგილებიდამ, სადაც ამბოხებაა. სამთავროს ზოგიერთა ადგილებში კრებები გაიმართა, თხოულობენ მაკედონიის განკარგებას და ბერლინის ხელშეკრულობის 23 მუხლის აღსრულებას. დღეს ბულგირთა გაზეთებმა აუწყეს, რომ პირინპლანინის ახლო რამდენიმე სოფელი დაუწვამთ, ზოგიც იწვის. იქ დაიწყო სისხლის ღვრა. ოფიციალური გაზეთი „ბოლგარია“ თხოულობს რეფორმებს, რომ მაკედონია დამშვიდდეს.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა კარაკასში მთავრობას სთხოვა, გამოგზანეთ ერთი ან ორი სამხედრო გემი მისაშველებლად ლაგუაირაში მდგომას გემის.

„Маріетта“-სი. გუშინდელ დეპეშით ელჩმა იცნობა, რომ მართებლობის მომხრე ჯარები იდგნენ ვალენსიის ახლო. ვალენსითა ალყა შემოკრულია ჯარებითა, ომი არ გათავებულა.

სევასტოპოლი. ბერძენთა დედოფალმა 2 ოკოომბერს ეტლით ისეირნა ქალაქში; 3 ოკდომბერს ბრძანდებოდა ბალაკლავში.

რიაზანი. სამაზრო კრებამ გადასდო 1,230 მ. ამ ფულით უნდა გამართონ რიაზანში სასოგადო საცხოვრებელი სახლი საერობო სკოლაში მოსწავლე ბავშთათვის.

ნიუ-იორკი. ვილლემსტადტიდამ მოვიდა ცნობა, რომ ორშაბათს ვიკტორიის ახლო დაიწყო ომი. ომში მონაწილეობას იღებდა მეამბოხეთა ერთი ნაწილი. მართებლობის მხრიმ მოკვდა 247 კაცი, მეამბოხეთაგან 410. ამბობენ, რომ ვალენსითა აიღესო.

ბერლინი. საღამოთი მოვიდნენ ბურთა გენერლები დევეტი, ბოტა და დელარეი. კამიტეტის თავმჯდომარემ სიტყვა უთხრა, შემდეგ გენერლები წავიდნენ სასტუმრო „პრინც ალბრეხტში“, სადაც იმათ მიეგებნენ ლექსების კითხვითა. ხალხი დიდის ამბით დაუხვდა.

სოფია. მაკედონიის ამბოხების შესახებ ერთი ერთმანეთის წინაამდეგი ამბები მოდის. მაკედონიის კამიტეტი ორ ბანაკად გაიყო. ერთი გაზეთი გაზეთი „რეფორმა“ აცხადებს, რომ ძრიელი ამბოხებააო, მეორე გაზეთი იმავე სახელისა „რეფორმა“, რომ ამბოხება არ არისო, არის მხოლოდ უბრალო შეტაკება ბოლგარიიდამ მოსულ რაზმებთანო და ოსმალებთანაო. ამბობენ, რომ მეამბოხეთ ძალიან მოხერხებული სიმაგრეები დაიჭირეს პირინთან და დიდხანს გაუძლებენ მტერსაო. სოფიის დივიზიის გენერალი ბოჩიკი წავიდა ჯარების დასახედავად.

კიუსტენდილი. ოსმალეთიდამ გადმოსული დედა-კაცებით და მოხუცებულებით აიმსო ქალაქი.

ბერლინი. ტროიანის შემდეგ ილაპარაკა ბოტამ, გადაუხადა რა მადლობა დახვედრისათვის, აღნიშნა, რომ მათს მისვლას პოლიტიკური მიზანი არა აქვს, არამედ მხოლოდ ფილანტროპიული. ბურთა ერი გამოუთქმელს სიღარიბეშია, რომლის აღწერა შეუძლებელია. გენერლები შევიდნენ თვის სადგომში, მაგრამ ხალხის ხმაურობაზე და ძახილზე გამოვიდნენ ბალკონზე, საიდამაც ბოტამ სიტყვა წარმოსთქვა და გამოსთქვა ის აზრი, რაც პირველ სიტყვაში. შემდეგ დევეტმა ილაპარაკა; გენერლები იმიტომ კი არ მოვიდნენ, რომ ჯავრის ამომყრელნი იშოვნონ; სამშობლოში მძვინვარებს გაჭირვება და იმას უნდა ვუშველოთ, დელარეიმაც მადლობა გადუხადა.

პეტერბურგი. წევრი სახელმწიფო საბჭოსი აარონ სტაალი საგარეო საქმეთა უწყებაში ჩაირიცხა და სახლმწიფო საბჭოს წევრადაც დარჩა.

საგარეო საქმეთა მინისტრი ლამზდორფი 3 ოქტომბერს ჩქარის მატარებლით დილის $9^1/_2$ ს. წავიდა ლივადიაში.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია 5 ოკდომბრისათვის შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

გალაქტიონ ლოლაძისა და სიმონ ბუნერ-ოღლის დავა მამულების გასყიდვის შესახებ:

2. აბესალომ წერეთლის საკასსაციო საჩივარი იოსებ დემურხანიშვილის მამულის მიხეილ ბაკუნაშვილის ვალში აღწერვის შესახებ.

3. მერაბ კვარცხალიასი და გიგო ხარბედიას დავა.

4. კოწია კვარცხალიას დავა 20 მან. ღალაზედ ილიკო პლატონ და სხვ. დადიანებსა და ლევან აფაქიძესთან.

5. დავით მგალობლიშვილის და ადაზა-ალი-ბაირამსოფიევის და მოლლა-მუსი-ამირ-ოღლის დავა საიჯარო 915 მანეთზედ.

6. სავაჭრო სახლის ი. ე. ფითოევი და კ.°-ისა და ყარამან აკოფოვის დავა 2000 მანეთზედ.

7. დავა სანდრო ზენაშვილისა და ანნა ტაგანოვის შორის.

განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

კომპანია „გრამოფონი“.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, ხაზინა ამხანაგის № 7.



[illegible] 69.

მრავალი გრამოფონი გვაქვს ყოვლად-გაუმჯობესებული.

დიდ-ძალი მეტალის ფირფიტები სახელ-განთქმულ და ცნობილ მომღერალთა, როგორც მაგალ. რუსთა, ქართველთა, სომეხთა, თათართა, სპარსთა, ოსმალთა, პოლონელთა, ფრაგთა, ინგლისელთა, იტალიელთა, გერმანელთა, და სხვათა მომღერალთა.

ფირფიტების არჩევის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ჩვენს საფაბრიკო დამღას: „მწერალი ანგელოზი“, ურომლისოდაც ფირფიტა ყალბი იქნება უსათუოდ.

კომპანიის საწყობთან განსაკუთრებული სახელოსნოა, რომელიც, თუ საჭიროა, გაჰმართავს და შეაკეთებს გრამოფონს.

კომპანია ბუღდავანოფს კისრულობს, რომ გრამოფონი წესიერად იმუშავებს სამის წლის განმავლობაში.

მაღაზია თავის ხარჯით კისრულობს საქონლის შეხვევას, ყუთში მოთავსებას და გაგზავნას.

გაგზავნა რკინის გზის ყველა სადგურზედ (ზაფხულში გემითაც) კომპანიის ხარჯით შეიძლება.

ფოსტით გაგზავნის ხარჯსაც სანახევროდ კამპანია კისრულობს.

კვირაობით მაღაზია დაკეტილია, სხვა დღეებში-კი ღია დილის $8^1/_2$ **საათიდგან საღამოს 9 საათამდე.**

შეიძლება მოითხოვოთ დასურათებული კატალოგები.

ნაღდად მყიდველს ახალი პრეისკურანტები ეგზავნება მოთხოვნილებისამებრ. (10—434—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.